27/08/2025

MES 6 25 0001030974

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 13 აგვისტოს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2"-ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ანა არუშიძე - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი/ საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ქეთევან ციხისელი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ვერიკო ჭიღლაძე
ტიტე ბოლქვაძე
ელისო მურვანიძე
ნინო თამაზაშვილი
თინათინ ბურძენიძე
ნანა შათირიშვილი
ეკატერინე ჭეიშვილი
ხათუნა ბაკურაძე
სერგო ოვჩარენკო
ლანა გაჩეჩილაძე
ნანა მონიავა
ხათუნა მაისია
ნინო ჩომახაშვილი
ნანა ვერულაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "ახალი ტალღა"
დირექტორის მ/შ - ირმა მეგრელიძე

ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“
დირექტორის მ/შ - რუსუდან ჩართოლანი

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია
შორენა უზუნაძე - აკადემიის დირექტორი
მზია ბაკურიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
ინგა შალამბერიძე - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი
მეგი ბაკურიძე - იურისტი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ კოლეჯისთვის "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საწყობის ოპერირება" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ კოლეჯისთვის "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით.

საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, 2025 წლის 30 ივლისს გამართულ საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ,,ბიდისის“ ავტორიზაციის შესახებ საკითხი. 2025 წლის 11 აგვისტოს გამოქვეყნებულ სხდომის ოქმში; მითითებული არ არის მიიჩნია თუ არა ავტორიზაციის საბჭომ მიზანშეწონილად მონიტორინგის ჩანიშვნა, ვინაიდან დასკვნაში ინდიკატორი 5.1.2.3 მეტწილ შესაბამისობაშია. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა არ არის შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, აკადემიის დირექტორის 2025 წლის 27 თებერვლის N15 ბრძანებით დამტკიცებულია შესაბამისობის გეგმა, რომლის მეორე პუნქტით განსაზღვრულია აქტივობა - „საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება კომპეტენტურ ორგანოსთან/პირთან და დამტკიცება დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ“. დაწესებულებას აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრული აქვს ვადა 2025 წლის 28 აგვისტო, რაც ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით რელევანტურია. ცენტრი მიმართავს საბჭოს შუამდგომლობით დააზუსტოს მონიტორინგის ჩანიშვნის საკითხი, მონიტორინგის განხორციელების ფორმა და თარიღი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნული გარემოება მიიღო ცნობად და კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში მონიტორინგის ჩანიშვნის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი :

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ საერთაშორისო განათლების აკადემია ბიდისიში 5.1 კომპონენტში. მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა. მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 29 აგვისტო.

შემდეგი შუამდგომლობა საბჭოს სხდომაზე წარადგინა, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით 2025 წლის 15 აპრილს და 28 მაისს გამართული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) სხდომების ოქმების (№463726 – 30.04.2025; №650732 – 11.06.2025) მიხედვით, საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ შპს „თავისუფალი ხედვის აკადემიიდან“ შუალედურად გამოეთხოვა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობდა პროცესები ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. შუალედური ანგარიშის წარდგენის ვადად განისაზღვრა 2025 წლის 30 ივნისი. დაწესებულებამ, საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში წარმოადგინა შუალედური ანგარიში, რომელშიც აღწერილია განხორციელებული ქმედებები ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამის მტკიცებულებებთან ერთად (N795762-01.07.25). შესწავლილ იქნა წარმოდგენილი ანგარიში, თუმცა, ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი მტკიცებულებების დეტალური ანალიზი ამ ეტაპზე არ განხორციელებულა. აღნიშნული მიდგომა განპირობებულია იმით, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით, მონიტორინგის ვიზიტი აღნიშნულ დაწესებულებაში უკვე ჩანიშნულია 2025 წლის 5 სექტემბერს. შესაბამისად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსობრივი სისწორის, მიზნობრიობისა და განხორციელების პრაქტიკის შესაბამისობის შეფასება მოხდება მონიტორინგის პროცესის დროს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ საბჭოს ამ ეტაპისთვის მიეწოდოს ინფორმაცია წარმოდგენილი შუალედური ანგარიშის შესახებ, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობის საბოლოო შეფასება განხორციელდება მონიტორინგის ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ. დაწესებულების მიერ შუალედური ანგარიშით წარმოდგენილი იქნა სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტები: განახლებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა, დაზუსტებული ამოცანები და შესრულების ვადები; შემუშავებული მონიტორინგის მექანიზმები და საჯაროდ განხილვის წესი. ასევე, სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები: წესები, რომლებიც არეგულირებს როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და არაფორმალური მხარდაჭერის საკითხებს; განსაზღვრულია კონსულტაციების ვადები და პასუხისმგებელი პირები. კარიერული მხარდაჭერა – შემუშავებული და დამტკიცებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის და სტუდენტებისთვის ვაკანსიების მიწოდების პერიოდულობაზე ინფორმაციის მიღება/გავრცელების მექანიზმები. ადამიანური რესურსების მართვა – მიღებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც მოიცავს თანამშრომელთა შერჩევის, შეფასების, ადაპტაციისა და წახალისების მექანიზმებს. უსაფრთხოების და მატერიალური რესურსების საკითხები – დადასტურებულია შესაბამისობა ხანძარსაწინააღმდეგო რეგულაციებთან, დამტკიცდა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შესათანხმებლად წარდგენილია შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან, დამტკიცდა საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი. სსსმ და შშმ პირთა საჭიროებები – განახლდა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი, განისაზღვრა ადაპტირებული რესურსების ხელმისაწვდომობის პირობები. IT ინფრასტრუქტურის შეფასება – შემუშავებულია კითხვარები საინფორმაციო სისტემებისა და

რესურსების გამოყენების რეგულარული შეფასებისთვის. პროფესიულ სტუდენტთა შეფასება-შემუშავდა შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი.

საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა აღნიშნული ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საწყობის ოპერირება" დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვერიკო ჭიღლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 ივნისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საწყობის ოპერირება" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად 2025 წლის 1 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯში "ახალი ტალღა" (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ

პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საწყობის ოპერირება“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გააჩნია: 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი A/B ტიპის სასწავლო გარემო (აუდიტორია №303), აუდიტორია გამოიყენება მხოლოდ ამ პროგრამისთვის. დაწესებულებას პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს პროგრამის მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი იმიტირებული C გარემო, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს დაწესებულების რეალურ საწყობთა სისტემას. ექპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პრაქტიკის ობიექტის გარეშე, იმიტირებულ გარემოში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შედეგად შესაბამისი უნარებისა და კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობა. შედეგად დადგინდა - გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯის მიერ ხორციელდება ბევრი სხვადასხვა მიმართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დაწესებულებას აქვს ერთი დიდი, მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი შერეული ტიპის საწყობი (განთავსებულია ტვირთის მრავალფეროვანი ასორტიმენტი), ასევე საკვები პროდუქტების (მათ შორის სამაცივრე), თაბაშირ-მუყაოს, ხის მასალების, სამშენებლო მასალების იზოლირებული საწყობები. საწყობებში ხდება როგორც ტვირთის მიღება-გაცემა, ასევე შიდა ტრანსპორტირება, აღწერა და ჟურნალების წარმოება. დაწესებულებას ასევე აქვს კნაუფის რესურსცენტრი, სადაც განთავსებულია კნაუფის ბრენდის სამშენებლო მასალები. საწყობს ყავს ხელმძღვანელი, რომელიც ასევე არის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი. სასწავლო გარემოში განლაგებულია პროგრამით განსაზღვრული ყველა საჭირო აღჭურვილობა. გარდა აღნიშნულისა დაწესებულებას 2025 წლის მაისში საწყობის ორგანიზებისა და პროცესების დაკვირვების მიზნით მოწველი ჰყავდა SES საერთაშორისო ექსპერტი, რომლის მიერ დადებული დასკვნისა და გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა კოლეჯის საწყობის რეორგანიზება, თანამედროვე მექანიზმების შეტანა და ასევე დაიგეგმა და მიმდინარეობს ახალის სასაწყობე ფართის რემონტი, სადაც შესაძლებელი იქნება გაუმჯობესებული დასაწყობების სისტემის შექმნა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აღჭურვილობით შესაძლებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობით. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) მომზადების ერთდროულად გატარება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან, ზოგადი მოდულებისთვის 8 პირია განსაზღვრული, პროფესიული მოდულების განმახორციელებლად 4 პირი, ამათგან ერთი განმახორციელებელი ამავე დროს მუშაობს დაწესებულებაში არსებული საწყობის ხელმძღვანელის თანამდებობაზე და უძღვება პროგრამით განსაზღვრულ პრაქტიკულ შედეგებს. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით: დასკვნაში აღნიშნულია, რომ საწყობის ორგანიზებისა და პროცესების დაკვირვების მიზნით დაწესებულებას მოწვეული ჰყავდა საერთაშორისო ექსპერტი, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა რეორგანიზაცია და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ახალი სასაწყობე ფართის რემონტი. თავმჯდომარე დაინტერესდა არის თუ არა აღნიშნული საწყობი საერთო და იყენებენ თუ არა მას სხვა პროფესიული პროგრამების სტუდენტები. ასევე დასვა კითხვა, როგორ ხდება რესურსების მართვა და მობილიზება საწყობის ოპერირების პროგრამის პრაქტიკული სწავლების პროცესში ისე, რომ პარალელურად სხვადასხვა პროფესიული პროგრამების არსებობის შემთხვევაში სრულად იყოს დაცული შესაბამისი სტანდარტები.

დარგის ექსპერტის განმარტებით, სხვა პროფესიული პროგრამების სტუდენტები საწყობებს სასწავლო სივრცეებად არ იყენებენ. აღნიშნულ საწყობებში ინახება მხოლოდ იმ პროგრამებისთვის განკუთვნილი პროდუქცია, რომლებიც კოლეჯში მოქმედებს, თუმცა მათი სასწავლო პროცესები საწყობებში არ ხორციელდება. სხვა პროგრამის სტუდენტები მხოლოდ გარკვეულ პროცედურებში მონაწილეობენ, მაგალითად — ტვირთის გაცემის პროცესში. საწყობის ოპერირების პროგრამის პრაქტიკული სწავლება კი სრულად ამ სივრცეებში მიმდინარეობს. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას შემუშავებული აქვს ცალკე წესი და საწყობში დაცულია ყველა საჭირო უსაფრთხოების ზომა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა თხოვნით, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ უკვე გააჩნიათ რამდენიმე საწყობი და მომავალშიც გეგმავენ ახალი სივრცეების დამატებას. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მრავალ პროფესიულ პროგრამას ახორციელებს, რაც მოითხოვს მასალებისა და აღჭურვილობების აქტიურ გამოყენებას. შესაბამისად, ყოველდღიურ სამუშაო პროცესში საწყობის მიმართულებით დიდი დატვირთვა და აქტიურობაა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, სსიპ კოლეჯისთვის "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საწყობის ოპერირება" დამატების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი :
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საწყობის ოპერირება" **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვერიკო ჭიღლაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 5 ივნისის ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ კოლეჯში "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად 2025 წლის 2 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ კოლეჯში "ახალი ტალღა" (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქობულეთი, რუსთაველის №154). ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რესურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მასაჟის თერაპია“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს: A სასწავლო გარემო (№203) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით და დემონსტრირების საშუალებით. C სასწავლო გარემო (№200) - აუდიტორია გათვლილია 15 სტუდენტზე და აღჭურვილია 10 სამედიცინო ტახტი/ტაფჩანით, სკამით, მოზარდა და ბავშვთა მულაჟებით, შირმითა და სხვა პროგრამით გათვალისწინებული ინვენტარით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას მობილიზებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული მატერიალური რესურსის სარეკომენდაციო რაოდენობაზე გაცილებით მეტი სამედიცინო ტახტი/ტაფჩანი და სკამი. დაწესებულებას არ ჰყავს პრაქტიკის განმახორციელებელი პარტნიორი ორგანიზაცია და სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯში. ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების სიმულაციური სასწავლო გარემო და მისი აღჭურვილობები ინტერაქტიული და გამოცდილებაზე დაფუძნებული (მოდელირებულ გარემოში) სწავლების მეთოდების (სიმულაციური სწავლება, როლური თამაშები, Case-based სწავლება, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება) გამოყენებით ქმნის შესაბამის გარემოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მასაჟის თერაპია“ პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისათვის. პირველადი გადაუდებელი დახმარების მოდულის განხორციელება დაგეგმილია აუდიტორია №301-ში, რომელიც გათვლილია 15 სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით, დემონსტრირების საშუალებით და პროგრამით განსაზღვრული შესაბამისი აღჭურვილობებით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შესაბამისად დაწესებულების მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აღჭურვილობით შესაძლებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობით. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) მომზადების ერთდროულად გატარება. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 12 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან 4 პროფესიული მოდულებისთვის (მათ შორის 1 პირი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ინსტრუქტორს), 6 ზოგადი მოდულებისთვის, 2 ქართული ენის მოდულისათვის. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვით, ჰქონდათ თუ არა დამატებითი შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით, ვინაიდან პროგრამის განხორციელება იგეგმება იმიტირებულ გარემოში რამდენად არის შესაძლებელი - სწავლის შედეგების მიღწევა სრულად და შესაძლებელია თუ არა მხოლოდ მულაჟზე მიღებული პრაქტიკით შემდგომში დასაქმება. საჭიროებს თუ არა პრაქტიკის ობიექტის დამატებას, სადაც რეალური პროცესის სრულდება.

დარგის ექსპერტის განმარტებით, პრაქტიკის გატანის შემთხვევაში პაციენტთან უშუალო შეხების გარანტია არ არსებობს და ეს არც არის მიზანშეწონილი. იმიტირებულ გარემოში ჩატარებული პრაქტიკა სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტმა

აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, სასწავლო პროცესში გამოიყენება როლური თამაშები და თითოეული პრაქტიკული ელემენტი მკაცრი ზედამხედველობის ფარგლებში ტარდება. ასევე, დასძინა, რომ მოქმედი სტანდარტი არ ითხოვს პრაქტიკის განმახორციელებლის ჩართვას სწავლის შედეგების მიღწევის პროცესში. შესაბამისად, სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა დაწესებულების იმიტირებულ გარემოში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თხოვნით, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს დიდი გამოცდილება აღნიშნული პროგრამის განხორციელების მიმართულებით, ვინაიდან წარსულში ახორციელებდა მასაჟის რეაბილიტაციის პროგრამას. მისი განმარტებით, მასაჟის სწავლების სპეციფიკა მოითხოვს პრაქტიკულ გამოცდილებას უშუალოდ ხელით, რაც წარსულში ხორციელდებოდა იმ ფორმით, რომ თითოეული სტუდენტი სწავლობდა მასაჟის ტექნიკას ერთმანეთზე მუშაობის პროცესში. რაც შეეხება იმიტირებულ გარემოს გამოყენებას, წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ რეალურ ობიექტებზე (სარეაბილიტაციო ცენტრებში, სასტუმროებში და სხვა დაწესებულებებში) სტუდენტების ჯგუფური გასვლა პრაქტიკულად შეუძლებელია. მისი თქმით, 15 სტუდენტის ერთდროულად შესვლა ასეთ დაწესებულებაში წარმოუდგენელია, მით უმეტეს, პაციენტებს არ აქვთ სურვილი სწავლის პროცესში მონაწილეობა მიიღონ და სტუდენტებმა მათ სხეულზე შეისწავლონ პროცედურები. შესაბამისად, სწავლის პროცესის იმიტირებულ გარემოში განხორციელება მიზანშეწონილი და მართებული პრაქტიკაა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,სსიპ კოლეჯისთვის "ახალი ტალღა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მასაჟის თერაპია" დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 9
წინააღმდეგი :
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "ახალი ტალღა" (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მასაჟის თერაპია“ **(დანართი 2).**

საბჭოს სხდომა დატოვა, საბჭოს წევრმა, გოგიტა მშვენიერაძემ.

მესამე საკითხი: ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**

საბჭოს წევრს, ხათუნა ჩხარტიშვილს, ჰქონდა ა(ა)იპ კოლეჯთან „იკაროსი“ აცილება, ვინაიდან წარმოადგენს დაინტერესებულს მხარეს, რის თაობაზეც ხათუნა ჩხარტიშვილმა განაცხადა სხდომის დღის წესრიგის გაცნობისთანავე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საბჭოს წევრის თვითაცილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 7
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნინო თამაზაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 30 მაისის N599822 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსში დაწესებულების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 25, 26 და 27 ივნისს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ კოლეჯ „იკაროსში (მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N4ა). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, ადმინისტრაციას, პროფესიული განათლების მასწავლებლებს და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები და

მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებას გამორჩეული პრაქტიკა აქვს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მოტივაციის ამაღლების, დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის, კარიერული მხარდაჭერისა და პროფესიული უნარების განვითარების მიმართულებით. კოლეჯი 2017 წლიდან თანამშრომლობს ევროპის სხვადასხვა პროფესიულ სასწავლებელთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს სთავაზობს სტაჟირების პროგრამებსა და სასწავლო ვიზიტებს. 2017 წელს საგნობრივი პროგრამების განხორციელებისას კოლეჯ ,,იკაროსისა“ და გერმანიის ,,ბალტიის ზღვის“ კოლეჯის ერთობლივი პროექტის ფარგლებში საწარმოო პრაქტიკის გასავლელად გერმანიაში გაემგზავრა ,,კონდიტერის“, ,,მზარეულისა“ და ,,სასტუმროს საქმის მწარმოებლის“ პროგრამების 14 პროფესიული სტუდენტი. 2022 წელს 3 თვიანი სასწავლო პრაქტიკის გასავლელად გერმანიაში იმყოფებოდა 8 პროფესიული სტუდენტი ,,კულინარიის ხელოვნებისა“ და ,,სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში. ასევე, 2022 წელს ქალაქ კრაკოვში (პოლონეთი) დაწესებულებამ საერთაშორისო კონკურსში მონაწილების მისაღებად გაგზავნა ,,კულინარიის ხელოვნების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 2 პროფესიული სტუდენტი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. ხოლო 2024 წელს ქ. კრაკოვში ,,XXV მალოპოლსკის გასტრონომიული სკოლების კონკურსში“ მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილ იქნენ კულინარიისა და კონდიტერიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 2 პროფესიული სტუდნეტი პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად. 2024 წელს დაწესებულებამ თვენახევრიანი სასწავლო პრაქტიკის (სტაჟირება) მიზნით, გერმანიის სხვადასხვა ობიექტებზე გაანაწილა 12 პროფესიული სტუდენტი რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. ექსპერტთა შეფასებით აღნიშნული წარმოადგენს საუკეთესო გამოცდილებას, რადგან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ამაღლებასა და წახალისებას, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარებასა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას.

სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

5.1.2 1. კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N 2038 (2019 წლის 22 ნოემბერი). დოკუმენტში მოცემულია კოლეჯის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა). შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას დაევალა განსაზღვრულ დროში რიგი ღონისძიებების შესრულება. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საბოლოო დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახე. კოლეჯის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება ვერ მოხდება დაწესებულების რეაბილიტაციამდე. შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნა შეფასდა, როგორც ,,არ შეესაბამება“. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 1 აგვისტოს N01-09/159 ბრძანებით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად, გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. კოლეჯს შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 18 თვე, თუმცა შესაბამისობის გეგმაში ტექნიკური ხარვეზია, ,,შესაბამისობის ტიპში“ მითითებულია ,,მეტწილი“ ნაცვლად ,,ნაწილობრივისა“. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას, ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადას (18 თვე) და შესრულების ინდიკატორს.

ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

1 სტანდარტი 1.2.2 1. ექსპერტებმა შეისწავლეს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი 2023 და 2023 წლის სამოქმედო გეგმის შუალედური და საბოლოო ანგარიშები. ასევე დაწესებულების პერსონალის ანგარიშები (თავისი კომპეტენციის ფარგლებში), რომელიც მიემართება სამოქმედო გეგმის შესრულებას. წარმოდგენილ საბოლოო ანგარიშში თითოეული სტრატეგიული მიზნის ბოლოს ზოგადად არის აღწერილი მიზნის ფარგლებში რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და რისი შესრულება მიმდინარეობს. შესრულების ანგარიში არ მოიცავს თითოეული ამოცანისა და აქტივობის შესრულების შეფასებას დაწესებულების მეთოდოლოგიაში (N27.07.2020 წლის N01-09/135 ბრძანება ,, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და შესრულების პროცესის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ) გაწერილი კრიტერიუმების (სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა) მიხედვით, ასევე ანგარიშებში არ არის მოცემული კონკრეტული აქტივობის შესრულების მტკიცებულება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისას იხელმძღვანელოს მეთოდოლოგიით და ასევე თითოეული ამოცანისა და აქტივობის შეფასებისას მიუთითოს შესრულების მტკიცებულება. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

III სტანდარტი 3.1.1 4. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტთან, ხელშეკრულებაში მეორე მხარედ დასახელებულია პროფესიული სტუდენტი, მითითებულია მხოლოდ მისი პირადი მონაცემები, პროფესიული სტუდენტის რეკვიზიტები და ხელმოწერა. აღნიშნული ხელშეკრულების ბოლო ნაწილში მოცემულია ჩანაწერი - ,,გავეცანი, ვიღებ პასუხისმგებლობას, მშობელი(მეურვე), სადაც არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის კანონიერი წარმომადგენელი აწერს ხელს. თუმცა, არ ჩანს მშობლის ან მეურვის პირადი მონაცემები. არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში ინახება კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და პროფესიული სტუდენტის დაბადების მოწმობა.დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, დაარედაქტიროს ხელშეკრულების ფორმა და მხარეთა ხელმოწერებსა და რეკვიზიტებში დაამატოს არასრულწლოვანი პირის მშობლის ან მეურვის პირადი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია.

II სტანდარტი ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში 2.4.2 1. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N01-09/76, 17/04/2025), არ მოიცავს აპელაციის პირობებს, საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს, უსაფრთხო გარემოს პირობებს და დამატებით პირობებს, ასევე ხშირ შემთხვევაში დავალების პირობები იყო ბუნდოვანი და არ იძლეოდა ზუსტ ინსტრუქციას. გარდა ამისა, შეფასების მტკიცებულებებში მოცემული იყო ჯგუფისთვის მხოლოდ ერთი შეფასების ინსტრუმენტი, ხოლო თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის გამოკითხვის შემთხვევაში მხოლოდ ტესტური დავალება, პრაქტიკული დავალებისა და პრაქტიკული დავალება დაკვირვების შემთხვევაში დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია ან შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი). შესაბამისად ყველა ფორმა იყო განსხვავებული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა

განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში და დაამატოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, სადაც მოცემული იქნება სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების პირობების შესახებ. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა შეფასების ფორმების გამოყენებისას. რესურსების დაზოგვის მიზნით დაწესებულებას შეუძლია გადავიდეს ელექტრონულ შეფასებაზე მოდულის შეფასების მიმართულების შესაბამისად. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.4.2 2. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რისკ ფაქტორები და ვერიფიკაციის შედეგები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელის ჩატარებაც განსაზღვრულია ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, 2024 წლის ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა და შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში ყველა პროგრამის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა რა პერიოდში ჩატარდა ვერიფიკაცია, ასევე არ ჩანს რამდენი ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებულებების შესწავლა, წარმოდგენილია მხოლოდ ერთი რისკ ფაქტორი - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, დაწესებულების მიერ არასწორად არის გაგებული ვერიფიკაციის ტერმინი, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის გეგმაში - საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, ასევე შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია. შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში არ ჩანს შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების ვერიფიკაციის პროცედურა და სამიზნე ჯგუფი. თუმცა განათლების ვერიფიკატორისა და დარგის ვერიფიკატორის მიერ გაიცა რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებების მიმართ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განახორციელოს დადგენილი მექანიზმის შესაბამისად, განსაზღვროს მეტი რისკ ფაქტორი, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას 3 ცვლაში, კვირაში 7 დღიანი დატვირთვით, რეალური სურათის მისაღებად უმჯობესია კოლეჯმა შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ვერიფიკაციის ანგარიშში დეტალურად ჩანდეს ვერიფიკაციის პროცედურა და რეკომენდაციები. ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -სასტუმრო მომსახურება 2.2.1 1. ,,სასტუმრო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული სხვა დაწესებულება. სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე . თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური სამუშაო გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, სასტუმროს სხვადასხვა განყოფილებაში რეალური სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (სასტუმროს მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -სარესტორნო მომსახურება 2.2.1 1. ,,სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული სხვა დაწესებულება. სწავლის შედეგები მიიღწევა ადგილზე, თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, რესტორნის სხვადასხვა განყოფილებაში რეალურ სამუშაო

გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (რესტორნის მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში.

ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ 01.08.2025 წლის N 941921 კორესპონდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია დასკვნის პროექტში მოცემული შესაბამისობისა და განმავითარებელი რეკომენდაციების შესახებ.

დაწესებულებამ 5.1.2 1 ინდიკატორთან მიმართებით წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 1 აგვისტოს N01-09/159 ბრძანებით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად, გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას, ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით.

1.2.2 1 ინდიკატორთან მიმართებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ,, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის შედგენისას კოლეჯი ხელმძღვანელობს ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ დირექტორის 2021 წლის 25 მარტის N01-09/48 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ კოლეჯი “იკაროსის” მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების, განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაზიარების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგების წესი“-ს შესაბამისად. აღნიშნულ წესში არ არის გაწერილი კრიტერიუმები - „სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა“, როგორ ექსპერტთა დასკვნის პროექტშია აღნიშნული. კოლეჯს თითოეული სტრატეგიული მიზნის ბოლოს ნარატივის სახით აქვს გაწერილი მიზნის ფარგლებში რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და რისი შესრულება მიმდინარეობს.“ თუმცა ასევე აღნიშნავს, რომ გაითვალისწინებს დასკვნაში მითითებულ რეკომენდაციას. თუმცა აღსანიშნავია, რომ დირექტორის N27.07.2020 წლის N01-09/135 ბრძანებით დამტკიცებულია ,, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის ჯგუფის შექმნისა და შესრულების პროცესის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' სადაც დანართი 1 -ით განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასებისა და შესრულების პროცესის შეფასების კრიტერიუმები. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულება ფასდება 4 კრიტერიუმით: სრულად შესრულდა, უმეტესად შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა. აღნიშნულის მიხედვით უნდა მოეხდინა დაწესებულებას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შეფასება.

3.1.1 4. ინდიკატორტთან მიმართებით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფმა კიდევ ერთხელ შეაჯერა პოზიციები და მცირედით დაკორექტირდა განმავითარებელი რეკომენდაცია.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

ექსპერტის განცხადებით,კოლეჯს შემუშავებული აქვს ახალი პროექტი, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. აღნიშნულ რეაბილიტირებულ ფართში არის: A ტიპის 7 სასწავლო გარემო თითოეული მოწყობილი ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 105 ადგილი; B ტიპის 4 სასწავლო გარემო თითოეული აღჭურვილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 60 ადგილი, C ტიპის 11 სასწავლო გარემო. კოლეჯის დირექტორის 2020

წლის 05 ოქტომბრის N-206 ბრძანებით დამტკიცებულია ,,მატერიალური რესურსების გამოყენების წესი“ , რომლის მიხედვითაც კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და თანამშრომელთა მიერ კოლეჯის მატერიალური რესურსებით და საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის ხელმისაწვდომობას. კოლეჯის სტუდენტებს, მსმენელებს და თანამშრომლებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზით, იქ განთავსებული კომპიუტერებით, პერიფერიული მოწყობილობებით და სხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად დაწესებულებაში შემუშავებულია კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, დაწესებულებას ჰყავს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. შენობაში ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმები. წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შენობაში მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი ვიდეოსათვალთვალო კამერები. შპს ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის „ მიერ გაცემულია დასკვნა შენობა- ნაგებობის მდგრადობის დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შედეგების შესახებ, რომელიც აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესებსა და ნორმატივების მოთხოვნებს. კოლეჯმა წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა N 2038 (2019 წლის 22 ნოემბერი). დოკუმენტში მოცემულია კოლეჯის დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმება (გამოკვლევა). შემოწმების (გამოკვლევის) დროს გამოვლენილი სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევათა აღმოფხვრის მიზნით, დაწესებულებას დაევალა განსაზღვრულ დროში რიგი ღონისძიებების შესრულება. ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საბოლოო დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, კოლეჯის ადმინისტრაციამ გასაუბრებისას განმარტა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულება ვერ მოხდება დაწესებულების რეაბილიტაციამდე. შესაბამისად, ინდიკაოტორის მოთხოვნა შეფასდა, როგორც ,,არ შეესაბამება“. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სტანდარტთან შესაბამისობის გეგმა, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 1 აგვისტოს N01-09/159 ბრძანებით. ხარვეზის აღმოსაფხვრელად, გეგმაში გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და რესურსები. კოლეჯს შესრულების ვადად განსაზღვრული აქვს 18 თვე, თუმცა შესაბამისობის გეგმაში ტექნიკური ხარვეზია, ,,შესაბამისობის ტიპში“ მითითებულია მეტწილი ნაცვლად ნაწილობრივისა. ეასპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების პოზიციას, ეთანხმება სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალიწინებულ ვადებს და შესრულების ინდიკატორებს. ექსპერტთა ჯგუფის სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ განახორციელოს შესაბამისი აქტივობები შემუშავებული გეგმის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ შესაბმისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში აქტიურია დაწესებულების დომენით პერსონალისთვის ელ-ფოსტის მისამართები. კომუნიკაციისთვის არსებობს სტუდენტთა ჯგუფები ფეისბუქ გვერდზე, რომლის საშუალებითაც ხდება სტუდენტთა ინფორმირება, ინფორმაციის გავრცელება. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი ახორციელებს ელექტრონული ფოსტის მისამართების გახსნის მომსახურეობას. შეხვედრებისთვის გამოიყენება როგორც Google Meets, ასევე Microsoft Teams, Zoom პლატფორმები. დაწესებულებაში გამოიყენება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა E-flow, არსებობს ოფიციალური დოკუმენტების აღრიცხვის სარეგისტრაციო სპეციალური ჟურნალები, სადაც ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, ექსპერტთა შემოწმების შედეგად დგინდება, რომ კოლეჯში ფუნქციონირებს „საქმისწარმოების წესით“ დადგენილი შემოსული დოკუმენტების

შესრულების და გაცემის ვადები, რომელზე კონტროლიც ეკისრება საქმისმწარმოებელს. ვებ-გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო მონაცემები, დაწესებულების სტრუქტურა, კატალოგი, საგანმანათლებლო პროგრამები, ინფორმაცია პერსონალის შესახებ, დაწესებულების მისია, ხედვა, ღირებულებები, ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ. კოლეჯის ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. პროგრამული დაფინანსება ითვალისწინებს ადმინისტრაციულ ხარჯებს , ხოლო ვაუჩერული დაფინანსება პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის მიმდინარე ხარჯს, მათ შორის პედაგოგების შრომით ანაზღაურებას, სასწავლო მასალას და სხვა ასევე კოლეჯის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით სახელმწიფო უზრუნველყოფს დამატებითი სუბსიდიის გამოყოფას; კოლეჯს არ აქვს დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები; შესყიდვები ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების კანონის სრული დაცვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კულინარიის ხელოვნება“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს 2 წლის განმავლობაში მიიღო 336 პროფესიული სტუდენტი. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A ტიპის 5 სასწავლო გარემო თითოეული მოწყობილია ჯგუფში15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 105 ადგილი. B ტიპის 4 სასწავლო გარემო თითოეული აღჭურვილია ჯგუფში 15 პროფესიულ სტუდენტზე, სულ 60 ადგილი. 5 C გარემო - N205 , N208, N410,411; N114. თითოეულ სამზარეულოში შესაძლებელია ერთდროულად განთავსდეს 14 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნულ სახელოსნოებს ერთდროულად შეუძლია მოემსახუროს კულინარიის ხელოვნების 112 პროფესიულ სტუდენტს 1 ცვლაში. ხოლო 3 ცვლაში შესაძლებელია 336 პროფესიული სტუდენტის სწავლება. კოლეჯს პროგრამის თეორიული კომპონენტის განხორციელებისთვის გამოყოფილი აქვს 5 აუდიტორია. დაწესებულებას სასწავლო პროცესი განსაზღვრული აქვს კვირაში 7 დღიანი დატვირთვით 3 ცვლაში. დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 54 განმახორციელებელი პირი, ხოლო 40 პროფესიული განათლების მასწავლებელი საერთო პროფესიულ და პროფესიულ მოდულებზე. კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის სხვა დაწესებულება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ითვალისწინებს პარტნიორ ორგანიზაციასთან პარტნიორობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „კონდიტერია“

ექსპერტის განცხადებით,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კონდიტერია“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს მიიღოს 60 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები. პროგრამისთვის განსაზღვრულია კონდიტერიის 1 C გარემოს. სულ კოლეჯს 2 ცვლაში შეუძლია საკონდიტრო სახელოსნოებში ერთდროულად 4 ჯგუფის სწავლება 15-15 . თითო მიღებაზე 2 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი. სულ 30 სტუდენტი. კონდიტერიის სტუდენტს მაქსიმალური დატვირთვა ექნება კვირაში 18 საათი. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია, რომ დაწესებულება მუშაობს ორ ცვლაში და ასევე შეჭრილი გრაფიკითაც. თეორიული კომპონენტის მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 18 სთ, 4 ჯგუფის შემთხვევაში 72 საათი. თეორიული სწავლებისთვის 7 დღიანი დატვირთვის შესაბამისად საკმარისია 1 თეორიული კლასი დღიური მაქსიმალური დატვირთვა 10 სთ . პირველადი დახმარების სწავლებისთვის გამოყოფილია სამედიცინო სასწავლო აუდიტორია, სწავლების კომპონენტის მაქსიმალური დატვირთვა არის კვირაში 3 საათი, ჯგუფების მაქსიმალური რაოდენობა 4 ხოლო საკონტაქტო საათების მაქსიმალური რაოდენობა 12 საათი. დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 38 განმახორციელებელი პირი, ხოლო 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი საერთო პროფესიულ და პროფესიულ მოდულებზე. ,,კონდიტერიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის სხვა დაწესებულება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კულინარიის ხელოვნება განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 38 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 4 მასწავლებელია გათვალისწინებული. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით ასევე გასაუბრებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. სახელმწიფო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია პროგრამის ,,კონდიტერია“ განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სასტუმრო მომსახურება“

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სასტუმრო მომსახურება“ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს მიიღოს 180 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 90 ინტეგრირებული მიდგომით. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემობი. პროგრამისთვის განსაზღვრულია C გარემო სარესტორნო სახერლოსნო)-2, თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი. 2 A გარემო (თეორიული და ინტეგრირებული სწავლება) თითოეულ აუდიტორიაში ერთდროულად 15 სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. 4 CB გარემო (კომპიუტერული კლას- კაბინეტი,). თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. 3 C გარემო (სასტუმროს ნომრები). თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი. 1 C გარემო (სამრეცხაო). თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. თითო მიღება 6 ჯგუფი, სულ კოლეჯს 3 ცვლაში შეუძლია სასტუმრო მომსახურების C გარემოში ერთდროულად 12 ჯგუფის სწავლება 15-15 პროფესიული სტუდენტი. 2 მიღების მიღების ფარგლებში განხორციელდება 12 ჯგუფის

მიღება. თითო მიღებაზე 6 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი. სულ 90 სტუდენტი. როგორც ინტეგრირებულ პროგრამებზე ასევე არაინტეგრირებულზე. სწავლის ხანგრძლივობა არის 2 წელი. დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 51 განმახორციელებელი პირი. ,,სასტუმრო მომსახურება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული სხვა დაწესებულება. სწავლის შედეგები სრულად მიიღწევა კოლეჯის ბაზაზე, რომელის ინფრასტრუქტურაც კოლეჯს გააჩნია. თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური სამუშაო გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, სასტუმროს სხვადასხვა განყოფილებაში რეალური სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (სასტუმროს მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სასტუმრო მომსახურება" განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 51 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 4 მასწავლებელია გათვალისწინებული. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით ასევე გასაუბრებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად არ ითვალისწინებს პარტნიორ ოარგანიზაციასთან პარტნიორობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „სარესტორნო მომსახურება"

ექსპერტის განცხადებით,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სარესტორნო მომსახურება" სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს დადგენილი წესის შესაბამისად. კოლეჯი გეგმავს მიიღოს 180 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 90 ინტეგრირებული მიდგომით. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემობი. პროგრამისთვის განსაზღვრულია C გარემო სარესტორნო სახერლოსნო)-2, თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი. 2 A გარემო (თეორიული და ინტეგრირებული სწავლება) თითოეულ აუდიტორიაში ერთდროულად 15 სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. 4 CB გარემო (კომპიუტერული კლას- კაბინეტი,). თითო სახელოსნოში ერთდროულად 15 სტუდენტი სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. 1 C გარემო ბარი- ერთდროულად 15 სტუდენტი. სწავლება განხორციელდება 3 ცვლაში. თითო მიღება 6 ჯგუფი, სულ კოლეჯს 3 ცვლაში შეუძლია სასტუმრო მომსახურების C გარემოში ერთდროულად 12 ჯგუფის სწავლება 15-15 პროფესიული სტუდენტი. 2 მიღების მიღების ფარგლებში განხორციელდება 12 ჯგუფის მიღება. თითო მიღებაზე 6 ჯგუფი, ჯგუფში 15 სტუდენტი. სულ 90 სტუდენტი. როგორც ინტეგრირებულ პროგრამებზე ასევე არაინტეგრირებულზე. სწავლის ხანგრძლივობა არის 2 წელი. დაწესებულებას პროგრამისთვის განსაზღვრული ჰყავს სულ 49 განმახორციელებელი

პირი. ,,სარესტორნო მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად პროგრამის თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული სხვა დაწესებულება. სწავლის შედეგები მიღწევადია ადგილზე, თუმცა ვინაიდან იმიტირებული და რეალური გარემო მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, პროფესიული სტუდენტების პროფესიული განვითარებისათვის სასურველია დაწესებულებამ იზრუნოს პარტნიორი ორგანიზაციების მოძიებაზე, რესტორნის სხვადასხვა განყოფილებაში რეალურ სამუშაო გარემოს გასაცნობად, ჰქონდეთ შესაძლებლობა დაესწრონ და ჩაერთონ განყოფილებების (რესტორნის მართვის მიმართულებების) საოპერაციო მართვაში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სარესტორნო მომსახურება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 49 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 4 მასწავლებელია გათვალისწინებული. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დეტალურად გაეცნო პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებუელებებს. დაწესებულების მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტის ფორმა , რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N01-09/76, 17/04/2025), არ მოიცავს აპელაციის პირობებს, საჭირო მასალებისა და ნედლეულის ჩამონათვალს, უსაფრთხო გარემოს პირობებს და დამატებით პირობებს, ასევე ხშირ შემთვევაში დავალების პირობები იყო ბუნდოვანი და არ იძლეობა ზუსტ ინსტრუქციას. გარდა ამისა, შეფასების მტკიცებულებებში მოცემული იყო ჯგუფისთვის მხოლოდ ერთი შეფასების ინსტურმენტი, ხოლო თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის გამოკითხვის შემთვევაში მხოლოდ ტესტური დავალება, პრაქტიკული დავალებისა და პრაქტიკული დავალება დაკვირვების შემთხვევაში დავალების შესრულების მოკლე ინსტრუქცია ან შეფასების ფურცელი (ჩეკლისტი). შესაბამისად ყველა ფორმა იყო განსხვავებული. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია, ცვლილება განახორციელოს შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში და დაამტოს ზემოაღნიშნული ინფორმაცია. მნიშვნელოვანია, ყველა პროფესიული სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს შეფასების ინსტრუმეტის ფორმა, სადაც მოცემული იქნება სრულყოფილი ინფორმაცია შეფასების პირობების შესახებ. დაწესებულებამ ჩამოაყალიბოს ერთიანი მიდგომა შეფასების ფორმების გამოყენებისას. რესურსების დაზოგვის მიზნით დაწესებულებას შეუძლია გადავიდეს ელექტრონულ შეფასებაზე მოდულის შეფასების მიმართულების შესაბამისად. დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა 2024 წლის ვერიფიკაციის გეგმა, რისკ ფაქტორები და ვერიფიკაციის შედეგები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა 2025 წლის წლის ვერიფიკაციის გეგმა, რომელის ჩატარებაც განსაზრვრულია ოქტომბრიდან დეკემბრის ჩათვლით. კოლეჯის ხარისხის მენეჯერმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა, 2024 წლის ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანება, ვერიფიკაციის გეგმა, ვერიფიკაციის დასკვნა და შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიში ყველა პროგარმის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ წარმოადგენილი დოკუმენტებით ვერ დადგინდა რა პერიოდში ჩატარდა ვერიფიკაცია, ასევე არ ჩანს რამდენი ჯგუფის ფარგლებში მოხდა შეფასების ინსტრუმენტებისა და შეფასების მტკიცებუელებების შესწავლა, წარმოდგელია მხოლოდ ერთი რისკ ფაქტორი - დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი, დაწესებულების მიერ არასწორად არის გაგებული ვერიფიკაციის ტერმინი, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნის ბრძანებაში მოცემულია შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, ვერიფიკაციის გეგმაში - საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია, ასევე შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში მოცემულია საგანმანათლებლო

პროგრამის ვერიფიკაცია. შიდა მონიტორინგისა და მხარდაჭერის ჯგუფის ანგარიშში არ ჩანს შეფასების ინსტურმენტის, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულების ვერიფკაციის პროცედურა და სამიზნე ჯგუფი. თუმცა განათლების ვერიფიკატორისა და დარგის ვერიფიკატორის მიერ გაიცა რეკომენდაციები შეფასების ინსტრუმენტისა და შეფასების მტკიცებულებების მიმართ. ზემოაღნიშნულის გათვალისიწნებით, დაწესებულებას ეძლევა განმავითარებელი რეკომენდაცია შეფასების სისტემის ვერიფიკაცია განახორციელოს დადგენილი მექნიზმის შესაბამისად, განსაზღვროს მეტი რისკ ფაქტორი, ვინაიდან დაწესებულება ახორციელებს სწავლებას 3 ცვლაში, კვირაში 7 დღიანი დატვირთვით. რეალური სურათის მისაღებად უმჯობესია კოლეჯმა შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია ვერიფიკაციის ანგარიშში დეტალურად ჩანდეს ვერიფიკაციის პროცედურა და რეკომენდაციები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ღონისძიების ორგანიზება“

ექსპერტის განცხადებით,ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „ღონისძიების ორგანიზება“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ - ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულ მატერიალურ - ტექნიკური რესურსის ჩამონათვალთან. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით კოლეჯის მიერ განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - 90 პროფესიული სტუდენტისთვის, რისთვისაც კოლეჯში მოწყობილია 4 A, 2 B და 3 C გარემო შესაბამისი აღჭურვილობით, ჯგუფში 15-15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ადგილებით. A და B გარემო აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). C გარემო (ინტეგრირებული სწავლებისთვის) - წარმოადგენს ლაბორატორიულ კაბინეტს სადაც განთავსებულია სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი მოწყობილობა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის და სხვა პროგრამისათვის საჭირო მასალანედლეული, ხოლო პროგრამის ფარგლებში დარგობრივი პრაქტიკული უნარების გამოსამუშავებლად კოლეჯში მოწყობილია 2 C გარემო, სადაც განთავსებულია, ერთი მხრივ, ბარ-რესტორნის აღჭურვილობა, მეორე მხრივ, ღონისძიების გაფორმებისთვის საჭირო ტექნიკური აპარატურა. პროგრამა ხორციელდება იმიტირებული სწავლების ფორმით, შესაბამისად თანაგანხორციელებაში არ არის ჩართული არც ერთი ორგანიზაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ღონისძიების ორგანიზება“ განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა (სულ - 34 პროფესიული განათლების მასწავლებელი) და მათი დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. კერძოდ, მოდულების უმრავლესობაზე მინიმუმ 2 მასწავლებელია გათვალისწინებული. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს კოლეჯის მიერ განსაზღვრული ხელმძღვანელი, რომლის დარგობრივი კომპეტენცია დასტურდება როგორც პირად საქმეში დაცული დოკუმენტაციით ასევე გასაუბრებით.

საბჭოს თავმჯდომარემ დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით 1.2.2.1 ინდიკატორთან დაკავშირებით. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, სამოქმედო გეგმის ანგარიშის შედგენისას კოლეჯი ხელმძღვანელობს დირექტორის 2021 წლის 25 მარტის ბრძანებით დამტკიცებული მისიისა და ღირებულებების, სტრატეგიული

და სამოქმედო გეგმის განხილვის, დამტკიცების, ცვლილებების შეტანის, გაზიარების, მონიტორინგისა და ანგარიშების წესით. აღნიშნულ დოკუმენტში, როგორც კოლეჯი მიუთითებს, არ არის გაწერილი კრიტერიუმები („სრულად შესრულდა“, „უმეტესად შესრულდა“), მაშინ როდესაც ექსპერტთა დასკვნის პროექტში ეს ნარატივის სახით იყო ასახული — რა შესრულდა, რა ვერ შესრულდა და რა მიმდინარეობს. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ აქ საუბარია ორ სხვადასხვა დროს დამტკიცებულ დოკუმენტზე: ექსპერტთა ჯგუფმა იხილა 2020 წელს დამტკიცებული დოკუმენტი, ხოლო კოლეჯს გააჩნდა 2021 წლის ვერსია. შესაბამისად, დასვა კითხვა: როდესაც კოლეჯს გააცანით აღნიშნული მიგნებები, განიხილეთ თუ არა, რატომ წარმოადგინა კოლეჯმა 2020 წლის დოკუმენტი და არა 2021 წლის რედაქცია.

დარგის ექსპერტის განმარტებით, მართლაც წარმოდგენილი იყო ორი განსხვავებული მეთოდოლოგია. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გადაეგზავნა დირექტორის ბრძანება, რომელიც კრიტერიუმებს უფრო კონკრეტულად აზუსტებდა. თუმცა ვიზიტის პერიოდში ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ შემდგომში მეთოდოლოგიაში უკვე შესული იყო ცვლილება და ახალი ბრძანება დამატებით აკონკრეტებდა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებისა და შეფასების წესს. ექსპერტის თქმით, მიგნებების ეტაპზე აღნიშნული საკითხი კოლეჯთან იქნა განხილული, დაწესებულებამ დაადასტურა აღქმული განსხვავება და განაცხადა, რომ მოახდენდა დოკუმენტების კონსოლიდაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ 3.1.1.4 ინდიკატორთან გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციაზე გაამახვილა ყურადღება, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვნებთან გაფორმებულ ხელშეკრულებას. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია არის განმავითარებელი და დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს. თუმცა, არგუმენტირებულ პოზიციაში კოლეჯმა მიუთითა, თითქოს ექსპერტი მოითხოვდა მხოლოდ მშობლისა და კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერას, რაც დასკვნაში პირდაპირ არ იკითხება. თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა, რომ დაწესებულების მიერ არასრულწლოვანთან გაფორმებული ხელშეკრულება, მითითებული სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე, კანონთან შესაბამისობაშია და ამას არც ექსპერტები უწევენ წინააღმდეგობას. რეკომენდაციის არსი კი მიმართულია იმასზე, რომ დამატებითი დაზღვევის მიზნით, თუნდაც ხელშეკრულების გვერდზე ჩაიწეროს მშობლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი, რაც მომავალში შესაძლო დავების თავიდან აცილებას უზრუნველყოფს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, დარგის ექსპერტს მიმართა კითხვით შეფასების ინსტრუმენტთან დაკავშირებით. კერძოდ, დაინტერესდა, არსებობდა თუ არა ვერიფიკაციის ჯგუფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაციას, პროცესის ვერიფიკაციას და მტკიცებულების ვერიფიკაციას.

დარგის ექსპერტის განმარტებით, ვერიფიკაციის ჯგუფი შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას არ ახორციელებს. ვალიდაცია ხდება იმ ეტაპზე, როდესაც შეფასების ფორმა რეალურად გამოიყენება სწავლების პროცესში. ვალიდატორად განისაზღვრება იგივე მოდულის სხვა მასწავლებელი, ხოლო ტექნიკურ ვალიდატორად სასწავლო პროცესის მენეჯერი. ექსპერტის თქმით, ვალიდაციის ფორმები მათ წარდგენილი ჰქონდათ და ხელმისაწვდომი იყო. თუმცა, შეფასების ინსტრუმენტის ფორმაში გარკვეული დამატებების საჭიროების გამო გაცემულ იქნა განმავითარებელი რეკომენდაცია. რაც შეეხება ვერიფიკაციას, ვერიფიკაციის ჯგუფს შეფასების ინსტრუმენტებთან მიმართებით ჰქონდა გაცემული ზოგადი

რეკომენდაციები, მათ შორის შეფასების ინსტრუქციის სრულყოფასთან დაკავშირებით. ექსპერტის განმარტებით, რეკომენდაცია ეხებოდა იმასაც, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ცალკე ასახულიყო ანგარიშში და წარმოდგენილი ყოფილიყო ეტაპობრივად. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, რისკ-ფაქტორად აღებული იყო დამწყები მასწავლებლის კომპონენტი, რაც მოცემულ კონტექსტში საკმარისად არ მიიჩნიეს.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა თხოვნით, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, არასრულწლოვანთან დადებული ხელშეკრულების საკითხზე დასკვნის პროექტში მართლაც იყო მითითებული, რომ უმჯობესი იქნებოდა ხელშეკრულება გაფორმებულიყო მეურვესთან და არა უშუალოდ სტუდენტთან. სწორედ ამაზე დაფუძნდა დაწესებულების არგუმენტირებული პასუხი, რომ ისინი ხელმძღვანელობდნენ სამოქალაქო კოდექსით. ამასთან, უკვე განხორციელდა რეკვიზიტების დამატება და მშობლის მონაცემების დაფიქსირება ხელშეკრულებებში.

რაც შეეხება, სამოქმედო გეგმის შუალედურ შესრულებას, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ვებგვერდზე ატვირთა შუალედური ანგარიში, სადაც თითოეული ინდიკატორი ცალ-ცალკე შეფასებულია.

შეფასების ინსტრუმენტების შესახებ წარმომადგენელმა განმარტა, რომ თეორიული ნაწილი ფასდება ტესტების საშუალებით, რომელიც დარგის სპეციალისტების მიერ არის შემუშავებული, ხოლო პრაქტიკული ნაწილი ფასდება დაკვირვებით — სპეციალურად შემუშავებული დავალებების საფუძველზე. ამ პროცესში ჩართულია მასწავლებელთა ჯგუფი და ადმინისტრაციული ერთეულები, რადგან 120–130 სტუდენტის პრაქტიკული დავალებების შეფასება ერთდროულად მიმდინარეობს. წარმომადგენელმა დასძინა, რომ შესრულებულია რეკომენდაცია შეფასების ფორმაში გასაჩივრებისა და აპელაციის უფლების ასახვის შესახებაც.

დასასრულს, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასტუმრო და რესტორნის მომსახურების მიმართულება გამოწვევად რჩება, რადგან ამ ეტაპზე შემცირებულია მოთხოვნა. თუმცა დაწესებულება არ ამცირებს კვოტას, ვინაიდან მომავალში მოსალოდნელია კონკურსის ზრდა. მისი თქმით, ბაკალავრიატის პროგრამების რაოდენობის გაზრდამ მნიშვნელოვნად შეამცირა პროფესიული სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობა, განსაკუთრებით სასტუმროების სექტორში, სადაც დამსაქმებლები უპირატესობას ბაკალავრებს ანიჭებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,ა(ა)იპ კოლეჯის „იკაროსი“ ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი :
მომხრე: 7
წინააღმდეგი :
გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“

ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ კოლეჯს „იკაროსი“ (ს/კ:211351071) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. ა(ა)იპ კოლეჯს „იკაროსი“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით ჩაინიშნოს მონიტორინგი ა(ა)იპ კოლეჯში „იკაროსი“ 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვით, მონიტორინგის ვადად განისაზღვროს 2027 წლის 21 იანვარი.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გოგიტა მშვენიერაძე.

მეოთხე საკითხი: შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლანა გაჩეჩილაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასება. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 23-25 ივნისს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადამოწმდა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები.

დასკვნის პროექტში ფიქსირდებოდა მე-5 სტანდარტის ფარგლებში ერთი ხარვეზი - აკადემიას შენობისთვის არ გააჩნდა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემებისა და მოწყობილობების გამოცდის აქტი, რომელიც თარიღდება 2022 წლის 21 სექტემბრით. შენობა ახალაშენებულია, აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და მიღებულია ექსპლუატაციაში ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექციის 2022 წლის 29 ნოემბრის ბრძანება - ბ12.1422333001, თუმცა უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი დასკვნის გარეშე ექსპერტებმა 5.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა შეაფასეს როგორც შეუსაბამო.

დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის ეტაპზე გამოგზავნა ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ დაგეგმა 5.1.2.1 ინდიკატორის ფარგლებში დაფიქსირებული შეუსაბამობის აღმოფხვრის აქტივობა 3 თვის ვადით (2025 წლის 25 ივნისიდან 2025 წლის 25 სექტემბრამდე). აღნიშნული გეგმა შესწავლილ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ და, წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ექსპერტთა შეფასებით 5.1 კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისი.

დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტთან. თუმცა ზემოაღნიშნული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით 5.1 კომპონენტი შეფასდა მეტწილად შესაბამისი და გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია აკადემიამ შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში განახორციელოს დაგეგმილი აქტივობები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა შემდეგი სახის განმავითარებელი რეკომენდაციები:

1.2.1.3 ექსპერტთა მოსაზრებით სამოქმედო გეგმაში აქტივობების ჩამონათვალი ზედმეტად კონკრეტულია, რაც რიგ შემთხვევაში განპირობებულია სტრატეგიული გეგმიდან გადმოტანილი ამოცანების დეტალური და ვიწრო ხასიათიდან გამომდინარე, სასურველია სტრატეგიულ გეგმაში მიზნის შესაბამისი ამოცანები ფორმულირდეს მსხვილი/ზოგადი სახით, რაც საშუალებას მისცემს კოლეჯს სამოქმედო გეგმაში აქტივობები ფორმულირდეს უკეთესად. სასურველია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების უკეთესი პრაქტიკის დანერგვისთვის კოლეჯმა გააძლიეროს გუნდის შესაძლებლობები. ექსპერტმა დააზუსტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხებოდა მთლიანად სამოქმედო გეგმის ყველა აქტივობას. მხოლოდ რამდენიმე ამოცანის შემთხვევაში იყო დაფიქსირებული შემდეგი სახის წვრილი აქტივობები: ,,გეგმის შედგენა“, ,,შეხვედრის ორგანიზება“, ,,სერტიფიკატის გაცემა“.

5.2.2.1 აკადემიაში შემოსულ, გასულ და შიდა დოკუმენტაციაზე სარეგისტრაციო ნომრისა და თარიღის მინიჭება ხორციელდება მატერიალურად, სხვადასხვა სახის დოკუმენტები რეგისტრირდება განსხვავებული ინდექსაციით და მატერიალურ ჟურნალში ხდება აღრიცხვა,

სადაც ფიქსირდება ტექნიკური ხასიათის უზუსტობები ნუმერაციის მინიჭებისას, ამდენად, სასურველია, აკადემიამ ეფექტურად გამოიყენოს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow) და ამ მიმართულებით გააძლიეროს თანამშრომელთა შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება, როგორც შესაბამისი წესით, ასევე, აკადემიის დირექტორის 2025 4 თებერვლისN 1657 ,,საგანმანათლებლო დაწესებულების მარეგულირებელი დებულებით ‘’, კერძოდ თავი მეექვსე ,,საქმისწარმოების წესით’’, მუხლი 30 ადგენს ბრძანებების, ხელშეკრულებების, მემორანდუმების რეგისტრაციისა და აღრიცხვის წესს. სასურველია საკითხის რეგულირებისთვის აკადემიამ გამოიყენოს ერთი შიდა მარეგულირებელი აქტი და არ დუბლირდებოდეს სხვადასხვა ბრძანებაში.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება: ,,საექთნო განათლება“, ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ და ,,კბილის სატექნიკო საქმე“. სამივე პროგრამა არის არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით და ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში კოოპერაციული ფორმით. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან მიმართებით სამივე პროგრამის ფარგლებში დაწესებულება შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი. დაწესებულებას თითქმის სრულად აქვს ათვისებული კვოტები. ჰყავს ბევრი კურსდამთავრებული და აქვს საკმაოდ მაღალი დასაქმების მაჩვენებელი, რაც შეადგენს 70%-ს და მეტს. ჰყავს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრები, როგორც ადმინისტრაციაში ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებად. ვიზიტის ფარგლებში დარგის ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს და დაწესებულება შეფასდა შესაბამისად ავტორიზაციის მეორე სტანდარტის ყველა მოთხოვნასთან.

პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა დაწესებულების ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოების ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რატომ ვერ შეძლო დაწესებულებამ ავტორიზაციისთვის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მობილიზება. დაწესებულების დირექტორის განმარტებით ისინი დარწმუნებული იყვნენ რომ დაწესებულებას ჰქონდა შესაბამისი დასკვნა. იქიდან გამომდინარე, რომ კოლეჯი განთავსებულია იჯარით აღებულ ფართში, მათ კომუნიკაცია ჰქონდათ მეიჯარესთან და გამოთხოვილი ჰქონდათ ყველა დოკუმენტი. შენობა ჩაბარებული ჰქონდა ბათუმის მერიას, არსებობდა ექსპლუატაციაში მიღების დოკუმენტი სახანძრო შემოწმების დოკუმენტი, რაც ერთობლიობაში აღიქმებოდა დამაკმაყოფილებლად. თუმცა როგორც აღმოჩნდა ეს არ იყო საკმარისი და დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო გაეცნო დაწესებულების მიერ საბჭოსთვის წარმოდგენილ დამატებით დოკუმენტაციას, რომელიც ეხებოდა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის აქტს, რომელშიც წერია, რომ შემაჯამებელი შეფასება ობიექტის შესაბამისობის შესახებ არ შეესაბამება. ასევე სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების, სერვისების სააგენტოს უფროსის დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილს, სადაც ასევე წერია, რომ 2025 წლის 4 აგვისტოს

შედგენილი N252 აქტი სახანძრო ტექნიკური შემოწმებისა და გამოკვლევის შესაბამისად დგინდება, რომ ქალაქ ბათუმში, ტბეთის ქუჩა N4-ში მდებარე შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის, პროფესიული სასწავლებლის კოლეჯი, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა არ შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. თუმცა ამავე დროს, დაწესებულების წერილში აღნიშნულია, რომ ხარვეზი აღმოფხვრილია. საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების დირექტორს განმარტება აღნიშნულის თაობაზე.

დაწესებულების დირექტორმა განაცხადა, რომ მათი ინფორმაციით დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ან მიწერილობა ან დასკვნა. როგორც შესაბამისმა უწყებამ განუმარტა დაწესებულების წარმომადგენლებს, რეკომენდაციები ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნაწილში გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც, თავად მარეგულირებლის ინიციატივით ხდება ამა თუ იმ დაწესებულების შემოწმება. ხოლო მაშინ, როდესაც ესა თუ ის დაწესებულება მიმართავს მარეგულირებელს შემოწმებისთვის, გაიცემა პირდაპირ დასკვნა, რომელიც წარმოდგენილია საბჭოს წინაშე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არასწორად არის გაგებული ავტორიზაციის სტანდარტს კომპონენტის მოთხოვნა. სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის ფარგლებში უნდა არსებობდეს ან დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე ან არ არსებობის შემთხვევაში გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე, რაც ამ შემთხვევაში დაწესებულებას არ გააჩნია. აქედან გამომდინარე დაწესებულებას მოუწევს მის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ისარგებლოს და მითითებული ვადაში, (3 თვე), მოაგვაროს დაფიქსირებული შეუსაბამობა.

თუმცა აღნიშნულ ვადაში ნაკლებად სავარაუდოა შეუსაბამობის აღმოფხვრა, რადგან როგორც იკვეთება, საკმაოდ ბევრი სამუშაოა გასაწევი. ამიტომ საბჭოს თავმჯდომარემ მიიჩნია, რომ უფრო დიდი ვადა დასჭირდება დაწესებულებას. რადგან ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებულია მეტწილი შესაბამისობა, ერთადერთი გამონაკლისი, რაც საბჭოს შეუძლია, დაუშვას არის, ის რომ ზემოაღნიშნული შეფასება დატოვოს ძალაში, თუმცა ამ შეფასებით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადა განუსაზღვროს დაწესებულებას შესაბამისობაში მოსაყვანად. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეთავაზება საბჭოს სხდომის დღიდან დაიწყოს ექვსთვიანი ვადის ათვლა, რა პერიოდის განმავლობაში შეძლებს დაწესებულება ხარვეზის აღმოფხვრას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები განხილული საკითხის ირგვლივ. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიის ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად, შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას (ს/კ:245419355) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები **(დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 22 აგვისტო.

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში 5.1 კომპონენტში, მონიტორინგის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 16 თებერვალი, მონიტორინგის ფორმად განისაზღვროს დოკუმენტების გამოთხოვა და საბჭოსათვის ინფორმაციის მიწოდება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 16:20 საათზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	საწყობის ოპერირება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0416
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მასაჟის თერაპია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0915
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქობულეთი, რუსთაველის N154
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	127

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისის, მარშალ გელოვანის N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	336
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101

პროგრამის სახელწოდება	კონდიტერია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კონდიტერიაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისის, მარშალ გელოვანის N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	60
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	80
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	95

პროგრამის სახელწოდება	სასტუმროს მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისის, მარშალ გელოვანის N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

პროგრამის სახელწოდება	სარესტორნო მომსახურება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სარესტორნო მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისის, მარშალ გელოვანის N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	132
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	104

პროგრამის სახელწოდება	ღონისძიების ორგანიზება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისის, მარშალ გელოვანის N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	67
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	კულინარიის ხელოვნება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1013
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის #4; ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი 4.
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	13
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	86
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	101

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია (სააფთიაქო)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი. ტბეთის ქ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	123
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	153

პროგრამის სახელწოდება	საექთნო განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი. ტბეთის ქ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

პროგრამის სახელწოდება	კბილის სატექნიკო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიოფიკაცია დენტალურ საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0911
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ბათუმი. ტბეთის ქ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალური სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115